საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 22 იანვარი, 2020 წელი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 05-01/01

სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18-ე მუხლის პირველი პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 26 დეკემბრის (ოქმი №50) გადაწყვეტილებისა და აკადემიური საბჭოს 2020 წოის 22 იანვრის №04-01/17 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დებულებაში და დებულების მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი დეპარტამენტის ხელმძღვანელის კანდიდატურას შეარჩევს ღია ან ფარული კენჭისყრით და გადაწყვეტილებას წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს. უნივერსიტეტის რექტორი, დეკანის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დეპარტამენტის ხელმძღვანელს. დეკანის მიერ დეპარტამენტის ხელმძღვანელის კანდიდატურის 1 თვის ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში რექტორი უფლებამოსილია თავად დანიშნოს დეპარტამენტის ხელმძღვანელი. დეპარტამენტის ხელმძღვანელი ინიშნება 4 წლის ვადით.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **თ. მეიშვილი**